“ტორპედო” (მოსკოვი) – “დინამო” (თბილისი)

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.).

9 სექტემბრის მატჩი მოსკოვის ”ტორპედოსა” და თბილისის “დინამოს” გუნდებს შორის ერთ–ერთი ყველაზე საინტერესო გამოდგა მიმდინარე სეზონში.

იგი საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო. უკვე მე–5 წუთზე მოსკოველთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ანისიმოვმა გარღვევაზე გაიყვანა მარჯვენა შუამარბი სტრელცოვი და ანგარიში გაიხსნა – 1:0. თბილისელებმა ცენტრიდან დაიწყეს და მაშინვე შეუტიეს. არ გასულა ორი წუთიც და ფარებზე ეწერა 1:1 – ღოღობერიძე პირისპირ გავიდა მეკარესთან და გაიტანა ბურთი. ტაიმის განმავლობაში მოედანზე არ დამცხრალა მეტად დაძაბული, მწვავე ბრძოლა. საერთო უპირატესობა დინამოელთა მხარეს იყო, რომლებიც ამჯერად თამაშობდნენ დიდი აღმავლობით და მონდომებით. “ტორპედოს” დაცვა სრული დატვირთვით მოქმედებდა, სადაც გამოირჩეოდნენ გომესი (№3) და მეკარე მათევოსიანი.

კიდევ უფრო საინტერესო იყო თამაშის მეორე ნახევარი. იგი კვლავ “დინამოს” შეტევით დაიწყო. თავდამსხმელები მთელი ფრონტით აწარმოებდნენ იერიშებს, გადიოდნენ როგორც ფლანგებიდან (კოტრიკაძე, ხასაია), ისე ცენტრიდან (კ. გაგნიძე, იამანიძე, ღოღობერიძე), ბურთის გატანის რეალური შესაძლებლობა დაკარგა ორჯერ იამანიძემ. ხელსაყრელი მდგომარეობიდან ვერ გაზარდეს ანგარიში გაგნიძემ, ღოღობერიძემ. კვლავ შესანიშნავად მოქმედებდა გომესი, რომელიც უნარიანად ხელმძღვანელობდა მთელ დაცვას.

მატჩის დამთავრებამდე 10–15 წუთი იყო დარჩენილი, როცა დინამოელთა იერიშები კიდევ უფრო მომძლავრდა. ზედიზედ აიღო რამდენიმე სახიფათო ბურთი მათევოსიანმა კოტრიკაძისა და ღოღობერიძისაგან. გონგის შემდეგ ორჯერ უშედეგოდ გაიჭრა კართან გაგნიძე, ხოლო 88–ე წუთზე მათევოსიანმა აკრობატულ ნახტომში უკანასკნელად იხსნა კარი იამანიძის დარტყმისაგან. მეტად მწვავე ბრძოლა დამთავრდა ფრედ – 1:1.

თბილისელთა წარმატებით დამთავრდა დუბლშემადგენლობათა შეხვედრა. მათ გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

ვ. პავლოვი
“ლელო”, 11 სექტემბერი, 1955 წ.